



პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 27 ოქტომბერი, 2014 წელი

დრო: 12:00 – 14:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ტიფლის დეველოპმენტი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ირინა ფუტყარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი საზოგადოებრივი დამცველი
3. ეკა ალდგომელაშვილი - ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
4. ნინო ჩიხლაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. ელენა ფილეევა - კონსტიტუციის 42 მუხლი
6. ქეთევან ჩაჩავა - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
7. ნინო ღვედაშვილი - თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
8. ნინო ტლაშაძე - ადამიანთა უფლებათა ცენტრი
9. გია ხასია - ასოციაცია „ათინათი“
10. ნანა თოდუა - ასოციაცია „მერკური“
11. ვანო ჩხიკვაძე - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
12. ნინო წულაია - ჯანმრთელი ბავშვები
13. ზვიად შვანგირაძე - ჟურნალისტური კვლევის ცენტრი
14. ზურაბ მაჭარაძე - ჟურნალისტური კვლევის ცენტრი
15. მათა გიგინეიშვილი - ცენტრი „ემპათია“

- 16. ანა გამგონეიშვილი - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
- 17. ნატო შავლაყაძე - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

განსახილველი საკითხები:

- ❖ პრობლემის მიმოხილვა და აღმოსავლეთ პარტნიორობის როლი
- ❖ მოკლე მიმოხილვა ოჯახური ძალადობა და საკანონმდებლო ბაზის შეფასებები CEDAW დასკვნითი დებულებები
- ❖ ოჯახური ძალადობა, გამოწვევები და პერსპექტივები
- ❖ დისკუსია

შეხვედრა გახსნა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან აღნიშნა, რომ პირველი ჯგუფის შეხვედრა ტარდება გაფართოებული ფორმატით, პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე. შეხვედრის მთავარი საკითხი იყო ბოლო პერიოდში საქართველოში ქალთა მიმართ გამოჩენილი ძალადობის ფაქტები. თანაკოორდინატორმა აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე თუ დაინტერესებულ ჯგუფებს მოუწოდა გაერთიანებისა და აქტიური თანამშრომლობისაკენ, რათა ერთიანი ძალისხმევით უპასუხონ არსებულ გამოწვევას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა ჯგუფის წევრებს, ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის მნიშვნელობაზე და წამოაყენა ინიციატივა, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მომზადდეს საკანონმდებლო წინადადება.

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარე გაეცნო დამსწრე საზოგადოებას. ორგანიზაცია 2003 წლიდან ეწევა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ დაცვასა და მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, ჩართულია კანონშემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობაში. მან ისაუბრა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტებზე და იმ წინააღმდეგობებზე, რომელიც არსებობს 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".

მიღებული კანონის გათვალისწინებით საპატრულო პოლიციას, რომელიც მივა შემთხვევის ადგილას უფლება აქვს შეადგინოს შემაკავებელი ორდერი, რაც გულისხმობს შეზღუდვების დაწესებას მოძალადისადმი, მსხვერპლს კი თავის მხრივ აქვს უფლება აირჩიოს გარკვეული სახის შეზღუდვა. პროცედურის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც პოლიციელი გამოწერს შემაკავებელ ოქმს, მას ხელს აწერენ მოძალადე და

მსხვერპლი. 24 საათის განმავლობაში პოლიციელი მიმართავს სასამართლოს, რომელიც შემდგომ ეტაპზე 24 საათის განმავლობაში ამტკიცებს ორდერს. პოლიციელის მიერ გამოწერილი ორდერი ძალაშია 48 საათის განმავლობაში. სასამართლოს შეუძლია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს შემაკავებელი ორდერი. არის ფაქტები, როდესაც მოსამართლე არ ამტკიცებს აღნიშნულ დოკუმენტს და პოლიციელისგან ითხოვს სასამართლოში მიიყვანოს, როგორც მსხვერპლი ისე მოძალადე. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში, მოსამართლეები არ ენდობიან პოლიციელებს და ითხოვენ ორივე მხარის ადგილზე მიყვანას, რაც უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია (როდესაც მოძალადე გარბის ან ადგილზე არ ხვდება).

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარემ დამსწრეებს სთხოვა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელონ, რადგან მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ამ საკითხთან მიმართებაში არის დაბალი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პრობლემას. ადამიანები ვერ ეხმარებიან თავიანთ ახლობლებს, მეზობლებს თუ ოჯახის წევრებს, რადგან არ ფლობენ ინფორმაციას და არ იციან როგორ დაეხმარონ მათ საჭიროების შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი კომპლექსურია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განსხვავებულ მიდგომებს, აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნა. მან აღნიშნა, რომ პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში. პრობლემის საფუძვლად მას მიაჩნია მოსახლეობის მძიმე სოციალური პირობები და უმუშევრობა.

დამსწრეებმა ისაუბრეს, რომ მოძალადეები ძირითადად არიან ნარკო და ალკოჰოლ, ასევე აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირები. მათთვის არ არსებობს რაიმე სახის სარეაბილიტაციო პროგრამა, რაც უფრო ართულებს ვითარებას. არსებობს კერძო ცენტრები, თუმცა მაღალი ფასების გამო მათ ხელი არ მიუწვდებათ მომსახურებაზე.

საქართველო ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის ინიციატივით, ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს პერიოდში მომზადდება რეკომენდაციები და გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები პროცესის დასაჩქარებლად. ჩატარდება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, ასევე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები და პირები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია